ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1188702

ნომერი: AR1207210

თარიღი : 25.03.2014

გაცემის თარიღი : 26.03.2014

გაცნობის თარიღი : 26.03.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი , დიდი დიღომი ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თენგიზ დიდმანიძე პ/ნ 61006049360
- დ. ხელვაჩაური დ.აღმაშენებლის ქ. N 5ა ბ. 39

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

2014 წლის 25 მარტს #AR1207210 განცხადებით ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურს მომართა მოქალაქე თენგიზ დიდმანიძემ და მოითხოვა ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, დიდ დიღომში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკად. კოდი: #01.72.14.041.198) საწყობის მშენებლობისთვის უკვე გაცემულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში (გადაწყვეტილება #381671) ცვლილების შეტანა კერძოდ: საპროექტო ობიექტის ფუნქციაში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის დაფიქსირება.

ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის #6-17 გადაწყვეტილებით დამტკიცდა დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმა, რომელიც განსაზღვრავს დასახლებათა ტერიტორიების გამოყენების (მიწათსარგებლობის) და განაშენიანების ძირითად პარამეტრებს, კეთილმოწყობის, გარემოსა და უძრავი კულტურული მემკვიდრეობის დამცავ სივრცით-ტერიტორიულ პირობებს, სატრანსპორტო, საინჟინრო და სოციალური ინფრასტრუქტურის, ასევე ეკონომიკური განვითარების სივრცით ასპექტებს და განსახლების ტერიტორიულ საკითხებს.

წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის–რუკის, მიხედვით ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2). „ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის N4-13 გადაწყვეტილების თანახმად სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) წარმოადგენს სარეკრეაციო ზონას, რომელიც მდებარეობს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში და მოიცავს გამწვანებულ ტერიტორიას (მაგ.: პარკი, ბაღი, ბულვარი, სკვერი, გაზონი), ღია სათამაშო მოედნებს და მსგავსი ტიპის სხვა ტერიტორიებს, სადაც ასევე დასაშვებია ამ წესების დანართი -1-ით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური ზონალური ნებართვით დაშვებული სახეობები, რომლის შესაბამისადაც მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა სარეკრეაციო ზონა 2–ში ნებადართული არ არის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“მე-5, 51-ე, 52-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „სივრცითი მოწყობისა და ქალაქმშენებლობის საფუძვლების შესახებ“საქართველოს კანონის, „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად,

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

უარი ეთქვას მოქალაქე თენგიზ დიდმანიძეს ქ. თბილისში, ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, დიდ დიღომში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკად. კოდი: #01.72.14.041.198) საწყობის მშენებლობისთვის უკვე გაცემულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში (გადაწყვეტილება #381671) ცვლილების შეტანაზე კერძოდ: საპროექტო ობიექტის ფუნქციაში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის დაფიქსირებაზე.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.